



ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის რეპორტი

გეოფიზიკა ტორუნ ს.ა. საქართველოს ფილიალი

2022 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)



სარჩევი

კომპილაციის რეპორტი	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8

კომპილაციის რეპორტი

მპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ს.გ. 200136600
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
ID: 200136600
T + 995 322 604 406

„გეოფიზიკა ტორუნ ს.ა. საქართველოს ფილიალი“-ის ხელმძღვანელობას

ჩვენ შევასრულეთ „გეოფიზიკა ტორუნ ს.ა. საქართველოს ფილიალი“ თანმხლები ფინანსური ანგარიშგება („ფილიალი“) ფილიალის ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც იწარმოება ჩვენ მიერ საბუღალტრო მომსახურების #ACC-2055 ხელშეკრულების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფილიალის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას შემდეგ დასრულებული წლისთვის, და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამებას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.


კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის 4410 (გადასინჯული), „კომპილაციური გარიგებების“ შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა დაგხმარებოდით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად მომზადებასა და წარდგენაში. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის: პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.

ვინაიდან კომპილაციის გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გამოვხატავთ აუდიტორულ მოსაზრებას ან მიმოხილვის დასკვნას იმის თაობაზე, არის თუ არა მომზადებული ეს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის (მსს ფასს)-ის შესაბამისად.

პაატა შურდია

თანამმართველი პარტნიორი



5 სექტემბერი 2023

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები

მიმდინარე აქტივები

გადახდილი ავანსები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საბანკო ნაშთები

სულ აქტივები

დაფინანსება და ვალდებულებები

დაფინანსება და რეზერვები

აკუმულირებული მოგება

მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები

სულ დაფინანსება და ვალდებულებები

შენიშვნა

2022 წლის 31
დეკემბერი

4

-

-

5

2,490

3,886

1,681,775

1,688,151

1,688,151

1,663,643

1,663,643

6

4,632

6

19,876

24,508

1,688,151

ბუქიძე



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართული ლარი

	შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან	7	5,205,179
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	8	(1,085,596)
მთლიანი მოგება		4,119,583
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(2,264,068)
ცვეთა და ამორტიზაცია		(193)
სხვა ხარჯები		(38,540)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		1,816,782
მოგება საკურსო სხვაობიდან		36,447
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		4,586
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(65,828)
მოგება მოგების გადასახადამდე		1,791,987
მოგების გადასახადის ხარჯი		(19,252)
წლის მოგება		1,772,735
სხვა სრული შემოსავალი		-
სულ წლის სრული შემოსავალი		1,772,735

Handwritten signature



კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ქართული ლარი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-
წლის მოგება	1,772,735	1,772,735
სულ წლის სრული შემოსავალი	1,772,735	1,772,735
დივიდენდი	(109,092)	(109,092)
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	1,663,643	1,663,643

Handwritten signature



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ქართული ლარი

მენიშვნა

2022 წლის 31
დეკემბერი

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

წლის მოგება

1,772,735

კორექტირება შემდეგ ნაწილებში:

ცვეთა და ამორტიზაცია

193

მოგების გადასახადის ხარჯი

19,252

კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება

(36,447)

საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე

1,755,733

ცვლილებები გადახდილ ავანსებში

(2,490)

ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში

24,508

ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში

(3,886)

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

1,773,865

გადახდილი მოგების გადასახადი

(19,252)

წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან

1,754,613

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა

(5,854)

ძირითადი საშუალებების რეალიზაცია

5,661

წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

(193)

ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან

სესხების აღება

6,754,761

სესხების დაფარვა

(6,754,761)

გადახდილი დივიდენდი

(109,092)

წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან

(109,092)

ფულადი სახსრებისა და საბანკო ნაშთების წმინდა ზრდა

1,645,328

ფულადი სახსრების სავალუტო ეფექტი

36,447

ფულადი სახსრებისა და საბანკო ნაშთები წლის დასაწყისში

-

ფულადი სახსრებისა და საბანკო ნაშთები წლის ბოლოს

1,681,775

Handwritten signature



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

„გეოფიზიკა ტორუნ ს.ა. საქართველოს ფილიალი“ დაარსდა 2022 წელს. ძირითადი საქმიანობაა ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების სერვისების მხარდაჭერა. კომპანიის მფლობელია „გეოფიზიკა ტორუნ ს.ა., 0000425970, პოლონეთის რეზიდენტი.

ფილიალის რეგისტრირებული მისამართია ჩუღურეთის რაიონი, არდონის ქ. N3, სართული 1, კომერციული ფართი N4.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის საფუძველზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს-ს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის (მსს ფასს) ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად. ისინი მომზადდა იმ ვარაუდით, რომ ფილიალი ოპერირებს მოქმედი საწარმოს პრინციპით, თუმცა, როგორც მე-11 შენიშვნაშია აღნიშნული, ფილიალმა პრაქტიკულად შეწყვიტა ფუნქციონირება და იმყოფება მოლოდინის რეჟიმში, კერძოდ, ელოდება სათაო ოფისის შემდგომ გადაწყვეტილებებს.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც არის ფილიალის ფუნქციონალური ვალუტა, ვინაიდან ეს ვალუტა საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ძირითადი მოვლენებისა და ტრანზაქციების ეკონომიკურ შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ლარამდე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 2.8844. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკუროს სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ავჯი	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა და სხვა	5 წელი

3.3 ძირითადი საშუალების გაუფასურება

ძირითადი საშუალებები განიხილება გაუფასურებისთვის, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილება მიუთითებს იმაზე, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ზარალი აღიარებულია ხარჯად დაუყოვნებლივ.

როდესაც გაუფასურების ზარალი შემდგომში საპირისპიროდ იცვლება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის გაუფასურების გარეშე. გაუფასურების ზარალის საპირისპიროდ ცვლილება აღიარებულია შემოსავლად დაუყოვნებლივ.

3.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის გაყიდვის სავარაუდო ფასი ბიზნესის ჩვეულ მსვლელობაში, დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯების გამოკლებით. მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილ პრინციპს და მოიცავს ხარჯებს, რომლებიც გაწეულია მარაგების შეძენისა და მათ არსებულ მდებარეობასა და მდგომარეობამდე მიყვანისთვის.

3.5 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, სესხთან დაკავშირებული ემისიის ხარჯების გამოკლებით. სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი მიღებულია მფლობელებისგან. ამ შემთხვევაში, სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ნებისმიერი სხვაობით ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში მთელი სასესხო პერიოდის განმავლობაში არსებული ეფექტური პროცენტის საფუძველზე. სესხებთან დაკავშირებით გაწეული პროცენტები და სხვა ხარჯები ირიცხება როგორც ფინანსური ხარჯების ნაწილი, გარდა სესხის აღების დანახარჯებისა, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება კვალიფიცირებული აქტივის შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, რომელიც კაპიტალიზდება ამ აქტივის ნაწილად.

3.6 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია ტრანზაქციის ფასით და შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ყველა სავაჭრო ვალდებულება ნორმალური საკრედიტო პირობებით არის განსაზღვრული და დამატებითი პროცენტი არ ერიცხება.

3.7 დაფინანსება სათაო ოფისიდან

ფილიალს არ გააჩნია საკუთარი საწესდებო კაპიტალი. იგი დაფინანსდება სათაო ოფისის შენატანებით, რომლებიც მითითებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სათაო ოფისიდან მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

სათაო ოფისთან ყველა ტრანზაქცია ცალკე აღირიცხება კაპიტალში.

დაგროვილი მოგება/(ზარალი) მოიცავს ყველა მიმდინარე და წინა პერიოდის გაუნაწილებელ მოგებას/(ზარალს).

3.8 შემოსავალი

ფილიალის ძირითადი საქმიანობაა ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების დამხმარე მომსახურების გაწევა. ფილიალი ძირითადად სეისმური მონაცემების მოპოვების სერვისს უწევს საქართველოში რეგისტრირებულ სუბიექტებს (ოპერატორებს, რომლებსაც აქვთ საძიებო კონცესია საქართველოში, ეძებენ ნავთობსა და გაზს საქართველოში). სეისმური მონაცემების მოპოვება არის გეოფიზიკური კვლევა, სადაც იკვლევენ მიწისქვეშა მახასიათებლებს გარკვეულ ტერიტორიაზე (ფილიალის მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე მათი კლიენტი იღებს სეისმურ მონაცემებს (სეისმურ ინფორმაციას), რაც საშუალებას აძლევს მას გადაწყვიტოს/შეაფასოს, არის თუ არა პოტენციური ნახშირწყალბადების რესურსები გამოკვლეულ ტერიტორიაზე.

ასეთი მომსახურებიდან შემოსავალი აღიარებულია, როდესაც სამუშაოს შესრულება მომსახურების სპეციფიკაციების შესაბამისად, კლიენტთან შეთანხმებული პირობებით, დასრულებულია და შესრულებული სამუშაოს (მომსახურების) აქტს ხელს მოაწერს ორივე მხარე, იმ პირობით, რომ შემოსავალი და მასთან დაკავშირებული ხარჯები შესაძლებელია საიმედოდ შეფასდეს და მოსალოდნელია გარიგებასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიღება.

3.9 მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი („მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელი“) გულისხმობს მოგების გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან მოგების გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, კომპანიები იხდიან კორპორაციულ სამემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არასაბაზრო პირობებით განსაზღვრული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

კორპორატიული მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილებიდან, აღიარებულია ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადებულია დივიდენდები, მიუხედავად რეალური გადახდის თარიღისა

ან იმ პერიოდისა, რომელზედაც ნაწილდება დივიდენდები. გადასახადის განაკვეთი არის წმინდა განაწილების თანხის 15/85.

კორპორატიული შემოსავლების დაბეგვრის ამჟამინდელი კონცეფციის თანახმად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს და მათ საგადასახადო ბაზებს შორის დროებითი განსხვავებები არ არსებობს. ამრიგად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 საშემოსავლო გადასახადი, არ ფორმირდება.

4 ძირითადი საშუალებები

ქართული ლარი

	ავეჯი	ოფისის აღჭურვილობა და სხვა	სულ
თვითღირებულება			
2022 წლის 1 იანვარი	-	-	-
შემოსვლა	4,435	1,419	5,854
გასვლა	(4,435)	(1,419)	(5,854)
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-
დაგროვილი ცვეთა			
2022 წლის 1 იანვარი	-	-	-
წლის ცვეთა	132	61	193
გასვლის შედეგად ელიმინირება	(132)	(61)	(193)
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-
საბალანსო ღირებულება			
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-

5 ფული საბანკო ანგარიშებზე

ქართული ლარი

	2022 წლის 31 დეკემბერი
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1,165,733
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	516,042
	1,681,775

საბანკო ნაშთები დენომინირებულია ლარში.

ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში ბანკში წარმოდგენილია მხოლოდ აშშ დოლარში და შეადგენს 190,985 აშშ დოლარს.

6 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ქართული ლარი

	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	2,603
საგადასახადო ვალდებულებები	19,876
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	2,029
	24,508

სავაჭრო გადასახდელებზე პროცენტი არ ირიცხება. სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელები წარმოდგენილია ქვემოთ:

ქართული ლარი

	2022 წლის 31 დეკემბერი
ფიზიკური პირის საშემოსავლო	624
მოგების გადასახადი	19,252

7 შემოსავალი

2022 საანგარიშო წლის განმავლობაში „გეოფიზიკა ტორუნ ს.ა. საქართველოს ფილიალი“-მა რეზიდენტი კომპანიებისგან 5,205,179 ლარის შემოსავალი მიიღო.

შემოსავლების ნაკადები წარმოადგენილია ფილიალის მიერ გაწეული მომსახურებების სახეების მიხედვით.

ქართული ლარი	2022 წელი
შემოსავალი სეისმური მონაცემების მოპოვებიდან	3,980,261
შემოსავალი დემობილიზაციის მომსახურებიდან	1,005,870
შემოსავალი არაღრმა სეისმური გაზომვის სერვისებიდან	89,377
შემოსავალი ამინდის პროგნოზირების სერვისიდან	77,406
შემოსავალი ექსპერიმენტული სამუშაოების მომსახურებიდან	52,265
	5,205,179

8 თვითღირებულება

ქართული ლარი	2022 წელი
პროფესიონალი პერსონალის ხარჯები	581,387
ადგილზე საინჟინრო ხარჯები	227,783
აღჭურვილობის გაქირავების ხარჯი	160,297
საინჟინრო მასალები და სარემონტო ხარჯები	69,874
ტრანსპორტირების ხარჯები	44,582
ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ხარჯები	1,673
	1,085,596

9 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ქართული ლარი	2022 წელი
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	835,416
ადმინისტრაციის თანამშრომლების სახელფასო ხარჯები	678,017
საოფისე ხარჯები	468,355
წარმომადგენლობითი ხარჯები	120,394
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	102,596
იჯარის ხარჯი	26,668
სხვა საგადასახადო ხარჯები	23,782
ბანკის საკომისიო ხარჯი	6,078
სადაზღვევო ხარჯები	2,232
კომუნალური გადასახადების ხარჯები	406
საპენსიო ხარჯები	124
	2,264,068

10 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ფილიალის 100%-იანი მეწილე და დამფუძნებელია „გეოფიკიზა ტორუნ ს.ა.“ (0000425970, პოლონეთის რეზიდენტი კომპანია). კომპანიის დაკავშირებულ მხარეებში შედის მისი მშობელი საწარმო და ძირითადი ხელმძღვანელობა.

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან. ანგარიშგების თარიღისთვის ძირითადი ხელმძღვანელობისთვის გადასახდელი ხელფასი ნულის ტოლია.

ქართული ლარი	2022 წლის 31
ტრანზაქციები	დეკემბერი
ძირითადი მენეჯმენტი	
სახელფასო ხარჯები	20,095

11 შემდგომი მოვლენები

2023 წლის იანვრიდან საქართველოს ფილიალმა შეწყვიტა ძირითადი ფუნქციების შესრულება, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა მიღებული შემოსავალი და გაწეული ხარჯები. ხელმძღვანელობამ ამ დროისთვის არ იცის საქმიანობის გაგრძელების სავარაუდო თარიღი და ელოდება სათაო ოფისის შემდგომ გადაწყვეტილებებს.